გახსოვთ თუ არა ჯავახეთის ექსპედიციიდან ლელა კურტანიძე, ვინც საჯაროდ დაგადანაშაულათ სექსუალურ შევიწროებაში?

უპირველესად, გმადლობთ, რომ ბევრი სხვა ჟურნალისტისაგან განსხვავებით, საკითხი ცალმხრივად არ განიხილეთ, შემხვდით და მომისმინეთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 2001 წლიდან დღემდე ჯავახეთში იმართება სტუდენტური ექსპედიციები, რომლებშიც, მთლიანობაში, მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ახალგაზრდამ მიიღო. მათგან ბევრი დღეს წარმატებული და ცნობილი პიროვნებაა. ბევრი მათაგანი დღემდე მახსოვს, განსაკუთრებით ისინი, ვინც პირველი 10-15 წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ, როდესაც ექსპედიციებს უშუალოდ ვხელმძღვანელობდი;

რა შეგიძლიათ თქვათ ლელას ბრალდების პასუხად?

ბრალდება ლეგიტიმურია მხოლოდ მაშინ, თუ ის შესაბამისი წესების დაცვითაა გამოთქმული. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდება ხდება ცილისწამება, რაც თვითონვე შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

ლელას გარდა სხვა ქალებმაც ილაპარაკეს ჩვენთან თქვენი მხრიდან სექსუალურ შევიწროებაზე, არც ერთი მათგანი არ აპირებს სამართლებრივ დავას თქვენს წინააღმდეგ, თუმცა ამბობს, რომ მათ სურთ სხვა ქალები და გოგოები დაიცვან თქვენგან - ფიქრობთ, რომ მართლაც მიაყენეთ თქვენს სიახლოვეს მყოფ ქალებს ტრავმა და საფრთხეს წარმოადგენთ ქალებისთვის?

ჩემგან დაცვა ადამიანებს არ ჭირდებათ, პირიქით, ჩემი მსახურება სწორედ ადამიანების საფრთხისაგან დაცვაა - როგორ ვახერხებ, ღმერთი და საზოგადოება განსჯის. მით უმეტეს, რომ უანგაროდ გაწეულ სამსახურს თავს არავის ვახვევ;

სუს-ის ფაილებში, რომელზეც ვიცი თქვენი ამ დრომდე ღიად გაცხადებული პოზიცია, რომ არ აპირებთ კომენტარის გაკეთებას მათ შინაარსზე, თქვენზე წერია, რომ ხართ "გაქნილი და მექალთანე". იქვე მითითებულია "ნ. ფაჩუაშვილის უარყოფით მხარედ ითვლება მისი დამოკიდებულება სუსტი სქესის წარმომადგენლებთან. ცნობილია, რომ ინტიმური ურთიერთობა კავშირებს: ეპარიქაში მომლოცველ ახალგაზრდა ქალებთან და მონაზვნებთან. ინტიმური ურთიერთობა აქვს რუსეთის მოქალაქე ლოლიტა დანილასთან." რა შეგიძლიათ თქვათ ამ ჩანაწერებზე, რამდენად სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ისინი, თუ სწორად მახსოვს, რუსეთის მოქალაქე ქალთან კავშირს თქვენ არ უარყობთ.

შეფასებები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, ცხადია, უკანონო მოსმენების შედეგად გაკეთებული შეფასებებია და არა უშუალოდ მოსმენის შინაარსი. შესაბამისად, ესეც არის ანონიმური ცილისწამება, რომლის მიზანი რუპუტაციული ზიანის მიყენებაა. რაც შეეხება რუსეთს, ხშირად მიწევს ამ ქვეყნის მოქალაქეებთან ურთიერთობა, რის შესახებ

კითხვები თქვენც დაგისვამთ. ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ ვიტყვი: მოსკოვის ანდრეი რუბლოვის ძველი რუსული კულტურისა და ხელოვნების მუზეუმი დააარსა ჩემმა არაპირდაპირმა ბაბუამ დავით არსენიშვილმა, რომელმაც მანამდე საქართველოში დააარსა მთაწმინდის პანთეონი, ლიტერატურის მუზეუმი, თეატრისა და კინოს მუზეუმი და ანჩისხატის ტაძარი დანგრევას გადაარჩინა.

ზოგადად, ეკლესიაში რამდენად მასშტაბური სახე აქვს ძალადობას სასულიერო პირების მხრიდან ქალებზე?

საქართველოს საპატრიარქოში არსებობს ზნეობრივი დარღვევების შემსწავლელი სინოდალური კომისია, რომლის წევრი მე არ გახლავართ;

ამავე სუს-ის ერთ-ერთ ჩანაწერში წერია, რომ თქვენი ეპარქიის "ბერი ე.პაიჭაძე ალკოჰოლური სასმელებით მივიდა ეპარქიის ტერიტორიაზე მცხოვრებ მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან, გახადა ტანზე და კისრის მიდამოებში ჩანგლით მიაყენა დაზიანებები, რის შემდეგაც გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია. ადასტურებთ ამგვარი შემთხვევას?

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მოქალაქეების პირადი საუბრების უკანონო მოსმენა, ფალსიფიცირება და, მით უმეტეს, გასაჯაროება უმძიმესი დანაშაულია; მათზე კომენტარების კეთება კი ამ დანაშაულში თანამონაწილეობაა.
რაც შეეხება თქვენს მიერ აღწერილ კრიმინალურ დანაშაულს, თუ ეს სინამდვილეს შეესაბამება, მას შესაბამისი გამოძიება და რეაგირება ესაჭიროება სამართალდამცავთა მხრიდან;

გკითხავთ ასპანაში ნაყიდი მიწების შესახებაც - რა ქონებას ფლობს ეპარქია დღევანდელი მონაცემებით და რა დანიშნულებით აპირებთ მათ გამოყენებას. ასევე, ადგილობრივი მედია წერდა, რომ ეს მიწები ფინანსური მაქინაციებით იქნა შეძენილი - თავდაპირველად უფრო დაბალ ფასად ყიდულობდა მათ ლელა ჭინჭარაული და შემდეგ ლელასგან უფრო ძვირად ეპარქია, რა შეგიძლიათ თქვათ ამ პროცესზე? რატომ გახდა ორსაფეხურიანი შესყიდვა საჭირო?

ეპარქიის ქონება საჯარო ინფორმაციაა. მისი შეძენის მიზანია ჯავახეთში, საქართველოს ამ ძირძველ და საუკუნეებით მიტოვებულ მხარეში ინფრასტრუქტურის განვითარება. რაც შეეხება ორსაფეხურიან შესყიდვას, იგი ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის სპეციფიკითაა განპირობებული.